

შპს „ფორმატი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადეოება

„ფორმატი“

ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი 2022 წელი

ხელმძღვანელობის მხრიდან:
დირექტორი :



/ვახტანგ გუგუნაძე/

შინაარსი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ფორმა 1)	3
2. ფინანსური საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (ფორმა 2)	4
3. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (ფორმა 3)	5

განმარტებითი შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია
2. მომზადების საფუძველი
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები
5. კომპანიის შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები
7. სხვა საოპერაციო ხარჯები
8. ფინანსური ხარჯები
9. ფული და ფულადი ექვივალენტები
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
11. კაპიტალი
12. წინასწარ გადახდილი გადასახადები
13. მიღებული სესხები
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
15. პირობითი ვალდებულებები
16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ხელმძღვანელობის მხრიდან:
დირექტორი :



/ვახტანგ გუგუნაძე/

ფინანსური მდგომარეობა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	49896	70533	28220
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	202525	186449	175155
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	9469	44982	9359
მარაგები	525708	471125	534743
მზა პროდუქცია	523065	466905	531868
სხვა	2643	4220	2875
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	1187	1152	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	3485	3872	4259
ძირითადი საშუალებები	642003	36162	37804
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	640000	0
სულ აქტივები	1434273	1454275	789540
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	31256	24576	18648
ანარიცხები	0	0	4704
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	380
საგადასახადო ვალდებულებები	7505	7759	5413
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	38761	32335	29145
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	644004	644004	4004
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	720420	680869	664820
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	31088	97067	91571
სულ საკუთარი კაპიტალი	1395512	1421940	760395
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1434273	1454275	789540
სულ მოკლევადიანი აქტივები	1187	1152	2875

ხელმძღვანელობის მხრიდან:
დირექტორი:



/ვახტანგ გუგუნიძე/

საქმიანობის შედეგები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	1940594	1447917
საქონლის გაყიდვიდან	1793137	1337324
მომსახურების გაწევიდან	147457	110593
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-1269797	-928625
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	670797	519292
სხვა საოპერაციო შემოსავალი	3942	14370
დასაქმებულთა ანაზღაურება	-255588	-201052
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-40495	-7935
საპროცენტო შემოსავალი	668	795
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-72763	-47837
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-92831	-72742
სულ საოპერაციო ხარჯები	-457067	-314401
საოპერაციო მოგება	213730	204891
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და		
სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი		
ოპერაციებიდან	213730	204891
მოგების გადასახადის ხარჯი	0	-17
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	213730	204874
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების)		
გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი		
ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	213730	204874
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1421940	760395

ხელმძღვანელობის მხრიდან:

დირექტორი:




/ვახტანგ გუგუნიძე/

შპს „ფორმატი“-ს ფინანსური ახგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	640000
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-240158	-188842
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	5513
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1395512	1421940

ფულადი სახსრების მოძრაობა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	2257060	1617782
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-2282162	-1577018
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	602	795
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-24500	41559
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	3863	754
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	70533	28220
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	49896	70533

ხელმძღვანელობის მხრიდან:
დირექტორი :



/ვახტანგ გუგუნაძე/

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „ფორმატი“ (შემდგომში „საწარმო“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 1995 წლის 10 ოქტომბერს.

საწარმოს დამფუძნებლები არიან:

ვახტანგ გუგუნაძე (პ/ნ 01024011798) -50%

ვეფხვია ბერაძე (პ/ნ -0103004447) - 50% .

1. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

საკანცელარიო საქონლის იმპორტი და მისი საბითუმო და საცალო რეალიზაცია-ვაჭრობა;

საბითუმო და საცალო ვაჭრობა სხვა საოფისე პროდუქციით.

არაძირითად სამიანობას წარმოადგენს კუთვნილი შენობა-ნაგებობის იჯარით გაცემა.

2. შვილობილი და მეკავშირე საწარმოები:

საწარმოს არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმო;

3. საწარმოს სტრუქტურა:

3.1. ადმინისტრაციული განყოფილება, რომელიც შედგება:

- დირექტორი ,
- შესყიდვების (იმპორტის) განყოფილება; მენეჯერული განყოფილება;
- ბუღალტერია;

3.2. გაყიდვების განყოფილება : დარბაზი; საწყობი;

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები


წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს მსს-ს) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფასს მსს - ის პირველადი გამოყენება

2018 წლის 01 იანვრამდე კომპანია ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას ადგილობრივი აღრიცხვის პრინციპების მიხედვით, რომელიც ზოგადად მიღებულია საქართველოში და ეფუძნება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას, თუმცა არ მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პრინციპებსა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობის მხრიდან:

დირექტორი :



/ვახტანგ გუგუნაძე/

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ პირველად მოამზადა ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით. რომელიც გამოიყენება 2018 წლის 1 იანვრიდან და აღწერილია შესაბამის ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ერთ ლარამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკა სხვა პრინციპს ითვალისწინებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

3.1 ვალუტა

ლარი არის შპს „ფორმატის“-ის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. და ვინაიდან ლარი არის ამ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა. უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები აღირიცხება, ამ ტრანზაქციის განხორციელების დღის არსებული კურსით, რომლისთვისაც გამოიყენება ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსი და ასევე პროკრედიტ ბანკის ინდივიდუალური გაცვლითი კურსი, რომელიც განისაზღვრება ხელშეკრულებით.

3.2 კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით

კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით.

აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი ღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

სხვა ყველა ვალდებულება ღიარდება გრძელვადიანად.

ხელმძღვანელობის მხრიდან:

დირექტორი:



/ვახტანგ გუგუნიძე/

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია პირველად ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას შორის სხვაობით, ასევე გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, .

ცვეთის დარიცხვა ხდება სასარგებლო მომსახურების ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით. სატრანსპორტო საშუალებებსა და მანქანა-დანადგარებზე და ოფისის აღჭურვილობაზე ცვეთა ანგარიშდება - წლიური 20%-მდე.

სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება:

შენობები	20 წლამდე
მანქანა-დანადგარები	10 წლამდე
ოფისის აღჭურვილობა	5 წლამდე
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1-20 წლამდე
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წლამდე
სხვა	1-20 წლამდე

თუ კომპანიის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებები, მათი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მოითხოვენ შეკეთებასა და შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აღნიშნული ხარჯები აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშში.

ასევე ძირითად საშუალებაზე გაწეული დანახარჯი თუ გამოიწვევს ამ საშუალებისგან მიღებული შემოსავლის ზრდას, მაშინ ეს დანახარჯი ზრდის ამ აქტივის ღირებულებას. თუ დანახარჯი აუცილებელია რათა შენარჩუნდეს, ან აღდგეს აქტივის არსებული მდგომარეობა, მაშინ ეს დანახარჯი აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

საძირითადი საშუალებების სარგებლი იანგარიშება მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

ძირითადი საშუალების რეალიზაციით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიღებულ საფასურსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებად ან ზარალად.

3.4 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე, საქონელი წარმოდგენილია საკანცელარიო ნივთების და საოფისე ინვენტარისა ასორტიმენტით. საქონლის გაყიდვებთან დაკავშირებულ პროცესში, როგორც საბითუმო ისე საცალო, წარმოქმნილ რისკებს კომპანია იღებს საკუთარ პასუხისმგებლობაში.

გასაყიდი საქონლის მარაგები კომპანიას გააჩნია სასაწყობო ფართში და გასაყიდ ობიექტზე - დარბაზში, რომლებიც აღრიცხულია და დაცულია

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი.

ხელმძღვანელობის მხრიდან:

დირექტორი:



/ვახტანგ გუგუნიძე/

სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს შეძენის ღირებულებას დამატებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და შენახვის ხარჯებთან.

3.5 შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მაშინ როცა სავარაუდოა, რომ კომპანიას ექნება ეკონომიკური სარგებელი და ეს შემოსავლები შეიძლება განისაზღვროს საიმედოდ. მიუხედავად იმისა, როდის მოხდება გადახდა. შემოსავლების განსაზღვრა ხდება მიღებული ან მისაღები სამართლიანი ღირებულებით, გადახდის პირობების გათვალისწინებით და გადასახადის გამოკლებით.

საწარმოს შემოსავლები ფორმირდება საწარმოს მიერ საქონლის გაყიდვის საფუძველზე, რომელიც საქართველოს საგადასახო კოდექსის შესაბამისად ექვემდებარება დამატებული ღირებულების გადახდას.

3.6 გადასახადები:

_ მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

_ დამატებული ღირებულების გადასახადი

შპს ფორმატი არის დღგ-ს გადამხდელი 1997 წლის პირველი სექტემბრიდან.

საწარმოს რეალიზაცია მოიცავს როგორც დასაბეგრ, ასევე ნულოვან და განთავისუფლებულ (დაუბეგრავ) ბრუნვებს. ყოველი საანგარიშო პერიოდის (თვის) ბოლოს ვახდენთ დღგ-ს დაანგარიშებას საგადასახადო კოდექსის საფუძვლების თანახმად, დეკლარაციის წარდგენას და გადახდას ბიუჯეტში.


შემოსავლები, ხარჯები და აქტივები აღიარდება დღგ-ს გარეშე წმინდა ღირებულებით, გარდა:

- იმ შემთხვევაში, როდესაც ქონების ან მომსახურების შეძენისას გაწეული გაყიდვების გადასახადი არ არის ამოღებული საგადასახადო ორგანოდან, ამ შემთხვევაში, გაყიდვების გადასახადი აღიარებულია აქტივის შეძენის ღირებულების ან ხარჯების ნაწილად.

- ვალდებულებები და მოთხოვნები მოიცავს დამატებულ ღირებულების გადასახადს. დამატებული ღირებულების გადასახადის თანხები, რომლებიც მისაღებია ან გადასახდელია საგადასახადო ორგანოსთვის, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება როგორც ვალდებულება ან მოთხოვნა.

ხელმძღვანელობის მხრიდან:

დირექტორი:



ვახტანგ გუგუნაძე

– საშემოსავლო გადასახადი

კომპანია საშემოსავლო გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება თანამშრომლებზე და სხვა ფიზიკურ პირებზე გაცემული განაცემები, რომელიც იბეგრება გაცემის წყაროსთან.

3.7 ფული და ფულის ექვივალენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისა და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხებისგან.

ფული და ფულის ექვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

3.8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ხორციელდება ჩვეულებრივ როგორც საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ასევე რეალიზაციისთანავე ანგარიშსწორებით, რომელიც მოიცავს როგორც ნაღდ ასევე უნაღდო ანგარიშსწორებას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება მოსალოდნელი შემოსავლების ღირებულების მიხედვით, საექვო ვალების რეზერვის გამოკლებით.

3.9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში ეროვნულ ვალუტაში. საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, მაგრამ შემდგომ ისინი არ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.


3.10 სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით, სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

კომპანიას საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ამ ეტაპზე არ გააჩნია არავითარი სასესხო ვალდებულებები.

ხელმძღვანელობის მხრიდან:

დირექტორი:



/ვახტანგ გუგუნაძე/

3.11 მუხლები ფინანსურ ანგარიშგებაში ნულოვანი ნაშთით:

3.11.ა. საინვესტიციო ქონება

კომპანიას საინვესტიციო ქონება 2020, 2021 და 2022 წლებში არ უფიქსირდება, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ფიქსირდება ნულოვანი ნაშთით;

3.11.ბ. ბიოლოგიური აქტივები

კომპანიას ბიოლოგიური აქტივები 2020, 2021 და 2022 წლებში არ უფიქსირდება, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ფიქსირდება ნულოვანი ნაშთით;

3.11.გ. გუდვილი

კომპანიას გუდვილი 2020, 2021 და 2022 წლებში არ უფიქსირდება, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ფიქსირდება ნულოვანი ნაშთით;

3.11.დ. ინვესტიციები

კომპანიას ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში და სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში 2020, 2021 და 2022 წლებში არ უფიქსირდება, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ფიქსირდება ნულოვანი ნაშთით;

3.11.ე. კომპანიას ასევე ასახული აქვს ნულოვანი ნაშთით შემდეგი მუხლები, როლებშიც არ უფიქსირდება მოძრაობა:

- გამოუმუშავებელი შემოსავალი;
- მოკლევადიანი ნასესხები სახსრები;
- გრძელვადიანი ნასესხები სახსრები;
- მიღებული გრანტები;
- საემისიო შემოსავალი;
- გამოსყიდული საკუთარი აქციები;
- გადაფასების რეზერვი;
- საქმიანობის შედეგი სამშენებლო ხელშეკრულებებიდან;
- საპროცენტო ხარჯი;

ასევე არის ნულოვანი ნაშთით შემდეგი ხარჯის მუხლები, რომლებიც კომპანიაში არ დაფიქსირებულა 2020, 2021 და 2022 წლებში:

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა

მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა

სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან

მიღებული დივიდენდები

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)

ხელმძღვანელობის მხრიდან:

დირექტორი:



/ვახტანგ გუგუნაძე/

3.11.ვ. საიჯარო ვალდებულება

საიჯარო ვალდებულება ყოველი წლის ბოლოს გვიფიქსირდება ნულოვანი ნაშთით, ეს გამოწვეულია ვალდებულების დროულად შესრულებასთან.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები აისახება ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების აღრიცხულ ოდენობაზე და ასევე გავლენას ახდენს პერიოდის გაცხადებულ შემოსავალზე და ხარჯებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას.

ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მენეჯმენტმა უნდა შეაფასოს, გამოთქვას მოსაზრებები და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას მოახდენს შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების რაოდენობაზე.

გარკვეულმა დაშვებებმა და შეფასებებმა შეიძლება საჭირო გახადონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტმა გააკეთა დაშვება, რომ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არც ერთი არსებული სავაჭრო მოთხოვნა, არ იყო უიმედო და არ საჭიროებდა გაუფასურების რეზერვის შექმნას. რადგან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულმა დებიტორების არსებითმა ნაწილმა, ანგარიშის ხელმოწერის თარიღისთვის, გარკვეული ოდენობით დაფარეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული დავალიანება.

5. კომპანიის შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება


კომპანიის ძირითადი შემოსავალი შედგება საკანცელარიო ნივთების და საოფისე ინვენტარისა რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისაგან. არაძირითადი შემოსავალი - საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გაქირავებით მიღებული შემოსავლისაგან.

კომპანია საქონელს ყიდულობს როგორც ადგილობრივი მომწოდებლებისაგან, ასევე აკეთებს იმპორტირებას სხვადასხვა ქვეყნებიდან.

კომპანიის მიერ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოადგენს ადგილობრივი და იმპორტირებული საქონლის შესყიდვის ღირებულებას. იმის გამო, რომ კომპანია დამოუკიდებელია, ამიტომ იღებს გადაწყვეტილებებს და რისკებს გაყიდვის პირობებთან დაკავშირებით, იგი ასრულებს საქონლით მოვაჭრის აქტიურ ფუნქციას.

ხელმძღვანელობის მხრიდან:

დირექტორი:



/ვახტანგ გუგუნაძე/

შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან აღიარდება დარიცხვის მეთოდით.

შემოსავლები	2022 წელი	2021 წელი
ამონაგები ძირითადი საქმიანობიდან	1793137	1337324
სხვა ფინანსური შემოსავლები (იჯარები)	147457	110593
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი (საკურსო...)	3942	14370
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	668	795
თვითღირებულების ხარჯები	2022 წელი	2021 წელი
	1269797	928625

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

	2022 წელი	2021 წელი
ხელფასები	255588	201052
იჯარის ხარჯი	72763	47837
ცვეთა და ამორტიზაცია	40495	7935
სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯი	5931	5612
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	2369	2268
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	7024	4067
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	19879	21025
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯი	1657	1880
სხვა შემენილი მომსახურება	1301	2397
სხვა საოპერაციო ხარჯი	50060	20328
სულ საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	457067	314401

2022 წლის განმავლობაში კომპანიას სრულ განაკვეთზე საშუალოდ დასაქმებული ჰყავდა 15 თანამშრომელი. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნახევარზე მეტი ხელფასის ხარჯია - 255588 ლარი, ხოლო იჯარის ხარჯი 72763 ლარი, წარმოადგენს კომპანიის სავაჭრო ობიექტის იჯარის ხარჯს.

ხელმძღვანელობის მხრიდან:

დირექტორი:




/ვახტანგ გუგუნაძე/

7. სხვა საოპერაციო ხარჯი

შპს „ფორმატის“-ის 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის დაფიქსირებული სხვა საოპერაციო ხარჯი.

8. ფინანსური ხარჯი

	2022	2021
ფინანსური ხარჯი არა ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხებ თანხებზე (ა)	0,00	0,00
ფინანსური ხარჯი ბანკისგან აღებულ სესხებზე(ბ)	0,00	0,00
სულ ფინანსური ხარჯი -	0,00	0,00

კომპანიას 2022 წლის საანგარიშო პერიოდში არ უფიქსირდება არანაირი ფინანსური სესხი.

9. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2022	31.12. 2021
ფული ბანკებში	2530	5816
ფული სალაროში	47366	64717
	49896	70533


ფულს ბანკში ერიცხება 0% საპროცენტო სარგებელი.

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული „ლარი“. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკუროსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

ხელმძღვანელობის მხრიდან:

დირექტორი:




/ვახტანგ გუგუნაძე/

შპს „ფორმატი“-ს ფინანსური ახგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

ამერიკული დოლარი USD:

გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს - 3,0976;

გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს - 2,7020;

EUR:

გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს - 3.5040;

გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს - 2,8844;

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2022	31.12. 2021	31.12..2020
მოთხოვნები იურიდიული პირების მიმართ	202525	186449	175155
მოთხოვნები კერძო პირების მიმართ	0,00	0,00	0,00
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	0,00	0,00	0,00
სხვა მოთხოვნები - ავანსებად გაცემული	9469	44982	9359
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	211994	231431	184514

შპს „ფორმატი“-ის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში საოფისე და საკანცელარიო საქონლის რეალიზებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს უკავია დიდი ნაწილი, რაც შეესაბამება კომპანიის საქმიანობის სპეციფიკას. სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს უპროცენტო ვალებს. კომპანია არ ქმნის სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით უიმედო დანაკარგების რეზერვს იმის გამო, რომ არსებობს გონიერი რწმუნებულება, რომ აღნიშნული დებიტორები 2023 წლის ბოლომდე თავის დავალიანებებს დაფარავენ.

11. კაპიტალი

11.1 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა შეადგენს 644004ლარს.

2021 წელს მოხდა საწესდებო კაპიტალის გაიზრდა 640000ლარით,

2022 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალში ცვლილებები არ მომხდარა.

ხელმძღვანელობის მხრიდან:

დირექტორი:



/ვახტანგ გუგუნაძე/

11.2 დივიდენდები

კომპანიის მესაკუთრეებს უკავიათ 50%+50% წილის მფლობელობა. ამიტომ დივიდენდების დარიცხვა და გაცემა ხდება თანაბრად.

2021 და 2022 წლების განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდების დარიცხვა და განაწილება.

	2022 წ	2021 წ
გამოცხადებული დივიდენდები	175520	194737
სულ გამოცხადებული დივიდენდები	175520	194737

აღნიშნული თანხები მოიცავს დივიდენდის საშემოსავლო გადასახადს. დივიდენდის გამოცხადების ვალუტა არის ლარი.

დივიდენდის გაცემის პერიოდსა და მოცულობებს ჰქონდა შემდეგი სტრუქტურა:

2021 წელს -	179400 ლარი
2022 წელს -	228150 ლარი


ფიზიკურ პირზე დაკავებულმა და გადახდილმა 5%-იანი საშემოსავლო გადასახადმა, რომელიც წარმოიშვა დივიდენდის გაცემისას შეადგინა:

2021 წელს -	9442.0 ლარი,
2022 წელს -	12008.0 ლარი

11.3 ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანია შპს „ფორმატი“ ამ ეტაპზე არის მომგებიანი საწარმო, მიმდინარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იქნა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე და გაგრძელდება ექსპლუატაციის ფაზაზე უახლოეს მომავალში. კომპანიას არ აქვს განზრახვა და არც საჭიროება ფულად აქციოს ან მატერიალურად შეზღუდოს თავისი საქმიანობის მასშტაბი. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

ხელმძღვანელობის მხრიდან:
დირექტორი:



/ვახტანგ გუგუნიძე/

12. წინასწარ გადახდილი გადასახადები

კომპანიას წინა 2021 საანგარიშგებო წლის დასაწყისში ბიუჯეტში ანგარიშსწორება უფიქსირდებოდა ზედმეტობით - 3308 ლარის ოდენობით.

2021 წლის ბოლოსთვის კომპანიის ანგარიშსწორება ბიუჯეტთან შედგენდა 14856 ლარის ზედმეტობას.

2022 წლის ბოლოსთვის კომპანიის ზედმეტობა შეადგენდა - 15150 ლარს., რაც დაკავშირებულია ჩვენის მხრიდან ყოველთვის მეტობით გადახდასთან.

2021 წლის განმავლობაში კომპანიამ ბიუჯეტში გადასახადების სახით გადარიცხა თანხა 145200 ლარი, ხოლო 2022 წლის განმავლობაში ბიუჯეტში გადასახადების სახით გადარიცხა თანხა 199404 ლარი.

კომპანია ახდენს აღნიშნული წინასწარ გადახდილი გადასახადების ჩათვლას მიმდინარე პერიოდების რიცხული ვალდებულების დასაფარად, შესაბამისად აღნიშნული აქტივი სრულად ექვემდებარება გამოყენებას.

13. მიღებული სესხები

შპს „ფორმატს“-ს 2021 და 2022 საანგარიშო წლის განმავლობაში არ ჰქონდა აღებული არანაირი სესხი.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12. 2021	31.12.2020
ვალდებ. მოწოდებიდან და მომსახურებიდან	22744	15685	15050
ვალდებ. მიღებული ავანსებიდან	8512	1642	3599
სხვა ვალდებულებები	7504	7759	10496
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	38760	25086	29145

შპს „ფორმატის“-ის საქმიანობისთვის საჭირო პროდუქციის, კერძოდ საკანცელარიო საქონლის და საოფისე ინვენტარის საქონლის მომწოდებლები არიან 2021 და 2022 წლის განმავლობაში საქართველოს და უცხოეთის კომპანიები. შესაბამისად, 2021 და 2022 საანგარიშგებო წლების ბოლოს ფიქსირდება მომწოდებლებთან სავაჭრო ვალდებულებები/ან პირიქით ზედმეტად გადახდილ თანხები.

15. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო დაბეგვრა საქართველოში

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს კანონმდებლობაში ხშირი ცვლილებები. ოფიციალური გამონათქვამები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, ეწინააღმდეგება ერთმანეთს და სხვადასხვა ინტერპრეტაციას ექვემდებარება.

ხელმძღვანელობის მხრიდან:

დირექტორი :




/ვახტანგ გუგუნაძე/

ამ გარემოებამ შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც მნიშვნელოვანია. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ მიერ აღიარებული საგადასახადო ვალდებულებები შესატყვისობაშია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან.

თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და გავლენას ახდენდეს ამ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

თუ აღნიშნული საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაცია იყო მართალი, მათი ინტერპრეტაციის განხორციელებისას შეიძლება იყოს მიღებული მნიშვნელოვანი საგადასახადო რისკი.

ყოველი საანგარიშო თარიღის მიხედვით ხელმძღვანელობა ახდენს საგადასახადო რისკების შეფასებას და განიხილავს იმ შემთხვევებს, რომლებიც შეიძლება შესწავლილი იქნას საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ. როცა ამ რისკის დადგომის ალბათობა იქნება მაღალი, კომპანია შექმნის შესაბამის რეზერვებს.

16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

16.1 ტრანზაქციები მენეჯმენტთან

მენეჯმენტზე გაცემულ ხელფასებს 2022 წელს ჰქონდა შემდეგი სტრუქტურა:

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

მენეჯმენტზე გაცემულ ხელფასები შეადგენდა :

97438 ლარი

სულ დაკავშირებულ მხარეებზე გადახდილი ხელფასი

97438 ლარი

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები


2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმართ არსებული დებიტორული დავალიანებები, 2023 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით კლიენტ კომპანიებს დაფარული აქვთ უმრავლესობას. ასევე ჩვენგანაც შემცირებულია წინა წლის ვალდებულებები.

დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების წარმოქმნა და სავაჭრო საქმიანობის უწყვეტი პროცესის ჩვეულებრივი თანმდევი სიტუაციაა.

2022 წლის 31 დეკემბრიდან ამ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონოდა ფინანსურ ანგარიშგებაზე და საჭირო ყოფილიყო მისი კორექტირება.

ხელმძღვანელობის მხრიდან:

დირექტორი :



ვახტანგ გუგუნიძე/